ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაგდა კოსტავას მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო შეხვედრის ჩატარების

ოქმი N 2

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:

17 ნოემბერი, 2023 წელი 17:00 საათი.

ანგარიშის წარდგენის ადგილი:

ქალაქი ქუთაისი ახალგაზრდობის N 98

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მულტიფუნქციური ცენტრი

შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა.**

ესწრებოდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველები, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა სფეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **მაგდა კოსტავამ** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად, საანგარიშო შეხვედრაზე, წარადგინა ანგარიში მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრის,

მაგდა კოსტავას ანგარიში ოქმს თან ერთვის.)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, **ქალბატონმა მაგდა კოსტავამ** ისაუბრა, როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების საქმიანობისას შემუშავებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად განხორციელებული პროექტების, ასევე ამომრჩევლების მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, **მაგდა კოსტავამ** საანგარიშო პერიოდის შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელებულ საქმიანობას. წარმოადგინა ვრცელი ინფორმაცია რომელიც აერთიანებს თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით ჩატარებლ ღონისძიებებს. როგორიც არის

: გზების, საყრდენი კედლების, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციას ასევე სკვერების და სპორტულ, გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, **მაგდა კოსტავამ** ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის კუთხით ჩატარებულ აქტივობებსა და ღონისძიებებს.

ანგარიშის წარდგენის დასასრულს, ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ** მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, მოწვეულ სტუმრებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს აპარატს გამოცხადებული ნდობისა და თანადგომისათვის.

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე მაყვალა კიწმარიშვილი: „მოგესალმებით, მე ვარ კახიანოურის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები , ქალბატონ მაგდას მადლობას ვუხდი ჩვენს ადმინიტრაციულ ერთეულში გაწეული საქმიანობისთვის .მოგახსენებთ, რომ წერეთლის ქუჩიდან რიონის დასახლების მიმართულებით მოძრაობს მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის დროს ვაწყდებით პრობლემას ,სატრანსპორტო საშუალება არარის საკმარისი , არის მუდმივად გადატვირთული , რაც გვიქმნის გადაადგილების პრობლემას . მაინტერესებს იგეგმება თუ არა ,აღნიშნულ მონაკვეთზე, სატრანსპორტო საშუალების დამატება ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა**: „მადლობას მოგახსენებთ კითხვისათვის, წელს ქალაქ ქუთაისში 100 მილიონამდე ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა. განახლდა გზები, ტროტუარები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სხვადასხვა ქუჩის სანიაღვრე ქსელებს, განახლდა ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნები, არსებულის ნაცვლად მოეწყო ადაპტირებული შუქნიშნები. მოეწყო სკვერები და სპორტული მოედნები, განახლდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე რამდენიმე შენობა. მიმდინარე საანგარიშო წელს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები აღიჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით. მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით . მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი პრობლემა გადასაჭრელი და ტრანსპორტის საკითხი ერთ-ერთ გამოწვევად დგას ჩვენს წინაშე. რაც შეეხება თქვენს პრობლემას მოვინიშნავ და შემდგომი რეაგირებისთვის . ვიმედოვნებ, შესაბამისი სამსახურების მიერ კიდევ ერთხელ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი და დადებითად გადაწყვეტილი, სამართლებრივ დონეზე“.

შეხვედრის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალბატონ **მაგდა კოსტავას** მიერ

წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ **ქალბატონ მაგდა** მუდმივად არის ჩართული საკრებულოს საქმიანობაში, სისტემატურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების სამუშაო შეხვედრებში. ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან და ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე. მადლობა გადაუხადეს ნაყოფიერი საქმიანობისათვის და უსურვეს წარმატებები.

საკრებულოს წევრი

მაგდა კოსტავა მ. კოსტავა

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი:

საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული

განყოფილების მოწვეული სპეციალისტი ,

გენდერული თანასწორობის საკითხებში

ნინო გოლეთიანი